მოქალაქეთა ჩართულობის როლი, ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარების პროცესში

The role of citizens`participation in the development of local self-governments

დავითოშვილი ელიზბარი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინისჭების მოთხოვნის შესაბამისად

საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით გიორგაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2023

განაცხადი

მე, წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ჩემს ნაშრომში არ არის გამოყენებული სხვა ავტორების, მიერ აქამდე გამოქვეყნებული, გამოსაქვეყნებლად მიღებული მასალები, ნაშრომში დამოწმების წესების გარეშე, ილიას აკადემიური წერის სტილის მიხედვით. ნაშრომი მთლიანად წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს.

დავითოშვილი ელიზბარი 15.06. 2023

მადლობა

მინდა პირველ რიგში მადლობა გადავუხადო, სამაგისტრო ნაშრომის მომზადების პროცესში ჩართულ ყველა ადამიანს. სამეცნიერო ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეულ ლექტორს, დავით გიორგაძეს. ასევე მადლობა მინდა გადავუხადო, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტს (CSI), მოწოდებული სამეცნიერო ლიტერატურისა და დარგის ექსპერტებთან შუამდგომლობისათვის. შესაბამისად მადლობა მინდა გადავუხადო, დარგის ექსპერტებს, დავით ყიფიანს, დავით ლოსაბერიძეს და ლიზა სოფრომაძეს. ასევე, კვლევაში ჩართულ ყველა ადამიანს და თვითმმართველ ორგანოებში დასაქმებულ რესპოდენტებს, ვინც თავისი წვლილი შეიტანა, სამაგისტრო ნაშრომის მომზადების პროცესში.

აბსტრაქტი

საზოგადოების ჩართულობა, ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარების პროცესში, წარმოადგენს დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძველს. დემოკრატიის, რომელიც თავისი არსით გულისხმობს, სახალხო მმართველობას. ადგილობრივ დონეზე კი, როგორც მოქალაქეობრივი პასიური პასუხისმგებლობა, არჩევნებში მონაწილეობის გზით, მონაწილეობა მიიღონ, ადგილობრივი ორგანოების ფორმირების პროცესში. ასევე, აქტიური პასუხისმგებლობა, თავად გამოიჩინონ ინიციატივა, მოაგვარონ საკუთარი ინიციატივით, ადგილობრივი მნიშვნელობის პრობლემები. ნაშრომში განხილულია, მონაწილეობითი დემოკრატია, მოქალაქეთა ჩართულობის ის მექანიზმები, რომელთა გამოყენების შესაძლებლობასაც აძლევს, მოქალაქეებს, საქართველოში არსებული საკანონმდებლო ჩარჩო „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და ცალკეული ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოები.

ABSTRACT

Society involvement in local self-governance processes represents one of main fundament for democracy. Democracy which itself means public governance. On local level, it is citizens passive responsibility to participate in forming local governance institutional organs, through participating in elections. Besides, active responsibility means that citizens are able to express initiates with dealing local problems independently. The paper examines participatory democracy, citizen involvement mechanisms, which are given to the citizens in terms of Georgian legalcode framework "Code of Local Self-Governance", and particulary other local self-governance organs.